საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
2015 წლის ანგარიში

ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. საქართველოს ყველა მოქალაქისათვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა.

2015 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ასამაღლებლად.

- **ზოგადი განათლება**

ხარისხიანი ზოგადი **განათლების ხელმისაწვდომობის** გაუმჯობესების მიზნით სამინისტრომ განახორციელა სპეციალური პროგრამები, რის შედეგადაც გაუმჯობესდა სასწავლო პროცესზე დასწრება, საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომა, აკადემიური მოსწრება და შეიქმნა მყარი ნიადაგი სისტემის შემდგომი მდგრადი განვითარებისათვის.

მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, 2015-2016 სასწავლო წელს ზოგადი განათლების მისაღებად საჭირო სახელმძღვანელოებითა და სავარჯიშო რვეულებით სახელმწიფომ სრულად უზრუნველყო ყველა საჯარო სკოლის მოსწავლე, ასევე 197 კერძო სკოლის - სოციალურად დაუცველი, ომში დაღუპული პირების ოჯახების და კერძო სკოლის საჯარო სექტორის მოსწავლეები. საანგარიშო პერიოდში შეძენილ და გადაცემულ იქნა 2 024 069 ცალი სახელმძღვანელო და რვეული. ამ მიზნით სულ მიიმართა 5.6 მლნ ლარი.

სკოლების ფიზიკური ხელმისაწვდომობა და სასწავლო პროცესში ჩართულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა **მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის** ამოქმედების შედეგად, 2015-2016 სასწავლო წელს პროგრამაში უკვე 1143 საჯარო სკოლაა ჩართული და ავტობუსებით მომსახურების სერვისით 62 500-ზე მეტმა მოსწავლემ ისარგებლა.

2015 წელს 167-მა არასრულწლოვანმა **ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა პირმა** ისარგებლა ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობით სპეციფიურ გარემოში. მათ შეისწავლეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები. საქართველოს მასშტაბით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული/მსჯავრდებული არასრულწლოვანი მოსწავლეები სახელმწიფომ სრულად უზრუნველყო სასწავლო რესურსით. 2015 წელს ექსტერნატის გამოცდები დაძლია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფმა 16-მა, სკოლის გამოსაშვები გამოცდები -5 -მა, ერთიანი ეროვნული გამოცდები - 5-მა ბრალდებულმა/ მსჯავრდებულმა პირმა.

სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა მიეცათ **საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის, ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე** 18 წლამდე ასაკის პირებს. 2015 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ განისაზღვრა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო ქვეპროგრამაზე ჩასარიცხი 25 ბენეფიციარი. აღნიშნული პირები გადანაწილდნენ და ჩაირიცხნენ ქალაქ თბილისის N81 და სსიპ ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლებში.

ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ფარგლებში, **ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე** მცხოვრები მოსწავლეებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდის, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობისთვის განხორციელდა პროგრამა, რომლის ფარგლებში ოკუპირებული გალის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთის საჯარო სკოლების აბიტურიენტებსა და მასწავლებლებს უსასყიდლოდ გადაეცათ 2300- მდე სხვადასხვა დასახელების ტესტების კრებული და დამხმარე სახელმძღვანელო. გადამზადდა გალის რაიონის 45 პედაგოგი, რომლებმაც, თავის მხრივ, ორ ეტაპად, 450-მდე აბიტურიენტს ჩაუტარეს მოსამზადებელი სამუშაოები ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის.

ინტენსიურად მიმდინარეობს **ინკლუზიური განათლების განვითარება** განათლების ყველა საფეხურზე. 2013 წლიდან ეტაპობრივად განხორციელდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების იდენტიფიკაცია და შეფასება, მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა, საგანმანათლებლო პროცესში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების აკადემიური და სოციალური მიღწევების შეფასება. 2015 წლის მონაცემებით 1136 საჯარო სკოლაში 5268 სსსმ მოსწავლე იღებს განათლებას.

განხორციელდა პროგრამაში ჩართული საჯარო სკოლების ინტეგრირებული კლასების დაფინასება. 5 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებას განაგრძობს **ინტეგრირებული კლასები** სენსორული (სმენა), მრავლობითი დარღვევის და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეებისათვის. 2015 წლის სექტემბრიდან გაიხსნა სამი ახალი ინტეგრირებული კლასი (2 თბილისში და 1 რუსთავში), რომლებიც აღიჭურვა შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსებით და დაკომპლექტდა კვალიფიციური კადრებით. სახელმწიფომ უზრუნველყო საგანმანათლებლო სერვისი ქრონიკული დაავადების მქონე ჰოსპიტალიზირებული ბავშვებისათვის, აგრეთვე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვებისათვის. მომზადდა საგანმანათლებლო რესურსები უსინათლო და მცირედმხედველი მოსწავლეებისათვის: ქიმიასა და ბიოლოგიაში მომზადდა ტაქტილით გამოხატული საგანმანათლებლო დამხმარე თვალსაჩინოებები, დაიბეჭდა ტაქტილური ალბომები, რომლებიც გადაეცა სსიპ - ქ. თბილისის N202 საჯარო სკოლას და გამოყენებულ იქნება სასწავლო პროცესში.

2015 წელს შეიქმნა ინკლუზიური **განათლების მონიტორინგის ინსტრუმენტი.** აღნიშნულ ინსტრუმენტს საფუძვლად დაედო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების განვითარების ევროპული სააგენტოს (EADSNE) მიერ ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სისტემისათვის შემუშავებული მონიტორინგის ინსტრუმენტების მოდელი სკოლამდელ, ზოგადი განთლების, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე. „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის, ხელმისაწვდომი და უწყვეტი განათლების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ დღის (კრიზისულ) და ტრანზიტულ ცენტრებში დაიწყო განათლებისა და სოციალური უნარების განვითარებაზე მუშაობა და მათი ტრანზიცია საჯარო სკოლებში განათლების ტრანზიტული პროგრამის პილოტირების გზით. პილოტირების პროცესში საჯარო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა გადამზადების მიზნით მომზადდა სატრენინგო პროგრამის მოდული და 6 საჯარო სკოლის 46 მასწავლებელსა და ადმინისტრაციების 6 წარმომადგენელს ჩაუტარდათ ტრენინგი; 6 საჯარო სკოლის 500-მდე მშობლისთვის ცნობიერების ამაღლების

მიზნით ჩატარდა საინფორმაციო კამპანია, დაიბეჭდა და გავრცელდა 500 საინფორმაციო ბროშურა.

თბილისში, ახალციხეში, ქუთაისში, ჭიათურასა და სამტრედიაში მდებარე 10-მდე საჯარო სკოლაში განხორციელდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის მომსახურების დაფინანსება; მოსწავლეები, რომლებიც სარგებლობენ სკოლა-პანსიონების მომსახურებით უზრუნველყოფილნი არიან ხარისხიანი საკვებით, საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთებით, ტანსაცმლითა და მედიკამენტებით, აღმზრდელების მომსახურებით. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს პანსიონში მყოფი სსსმ მოსწავლეების აკადემიური და ფუნქციური უნარების განვითარებას.

დასრულდა საქართველოს სკოლებში ინკლუზიური განათლების მიმდინარეობის რეგულაციის დოკუმენტზე მუშაობა. მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს საკანონმდებლო ბაზაში შესატანი ცვლილებების პაკეტის მომზადება და მათი ასახვისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება, შემდგომში აღნიშნული რეგულაციის დამტკიცების მიზნით. არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით შეიქმნა ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ინსტრუმენტი, რომლის დანერგვაც იგეგმება მომავალი წლიდან. უახლესი შეფასებითი მექანიზმების შესწავლის საფუძველზე გადამზადდა მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც გაზომვად სტანდარტებზე დაყრდნობით (ციფრების რიგი (WISC IV), ბენდერის ბარათები, CARS 2, TONI4) განახორციელებს სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ფიზიკური და ინტელექტუალური უნარების შეფასებას.

„სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა თემში მცხოვრები **ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი** მოზარდების მოძიება; განახლდა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოზარდების მონაცემთა ბაზა; გრძელდებოდა მუშაობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში რეგისტრირებულ ბოშა მოზარდებსა და მათ ოჯახებთან. დღეისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში დარეგისტრირებულია 125 ბოშა მოზარდი. კავშირ „ბერილუსთან“ გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ქვეპროგრამის მონაწილეთა საერთო ინტერესის გარშემო გაერთიანებისა და მათში კითხვის მოტივაციის ამაღლების მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა ტრენინგები, კონფერენცია, თეატრალური ფესტივალი და საზაფხულო სკოლა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქალაქ სამტრედიის N15 საჯარო სკოლის ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე აღსაზრდელების რესოციალიზაციის მიზნით, ფუნქციონირება განაგრძო კითხვისა და თეატრის კლუბებმა.

2015 წლიდან სამინიტრომ დაიწყო **„მშობელთა განათლებისა და ჩართულობის ქვეპროგრამის“** განხორციელება, რომელის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მშობელთა ცნობიერების ამაღლება განათლების საჭიროების შესახებ. ქვეპროგრამის ფარგლებში:

- მუშავდება ელექტრონული გზამკვლევი, სადაც აღნიშნული მიმართულებით მშობელთათვის განთავსდება ფსიქოლოგებისა და სამართლებრივი საკითხების ექსპერტის რეკომენდაციები;
- ჩატარდა მასშტაბური კონფერენცია მშობელთათვის „მშობლის მონაწილეობა განათლების პროცესში“;

- ადრეული ქორწინების მიზეზით სწავლის მიტოვების პრევენციისათვის, სისტემატურად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები საქართველოს იმ რეგიონების მშობლებთან, სადაც ხშირად ფიქსირდება მსგავსი ფაქტები. საუბრის თემას წარმოადგენს ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებული რისკები.

განათლების ხელმისაწვდომობის ფარგლებში, წარმატებით დასრულდა **სკოლების ინტერნეტიზაცის** პროგრამა. საქართველოს ყველა საჯარო სკოლა ჩართულია ერთიან საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელში და უზრუნველყოფილია ინტერნეტით. აღსანიშნავია, რომ გაუმჯობესდა ინტერნეტის მიწოდების სიჩქარე, მათ შორის საჯარო სკოლების 30%-თან კავშირი უზრუნველყოფილია მაღალგამტარიანი ოპტიკური არხებით (50 Mb), ხოლო დანარჩენი სკოლების შემთხვევაში, კავშირი უზრუნველყოფილია რადიო ტექნოლოგიით (კავშირის სიჩქარე: 256 Kb/s, 512 Kb/s, 1Mb, გლობალური ინტერნეტი -500 Mb, ლოკალური - 2 Gb).

განათლების სისტემაში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემისა და რესურსების მოდიფიცირება. სისტემა ონლაინ რეჟიმში ითვალისწინებს, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და ბინადრობის მოწმობის არ მქონე პირების რეგისტრაციას.

➢ ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება

ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2015 წელს ეტაპობრივად განახორციელა პროგრამები და პროექტები.

2015 წელს საჯარო სკოლების ხარისხის მართვის სისტემის დანერგვისა და მისი გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, ცვლილებები შევიდა **„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში.** შედეგად, საჯარო სკოლებს განესაზღვრათ ვადა, რათა განახორციელონ ხარისხის გასაუმჯობესებელი აქტივობები ავტორიზაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. განხორცილებული ცვლილების თანახმად, 2014 წლის 1 იანვრამდე დაფუძნებული/რეორგანიზებული საჯარო სკოლები ჩაითვალა ავტორიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებად 2020-2021 სასწავლო წლამდე. მიმდინარეობს მუშაობა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახვეწაზე.

გაგრძელდა **ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი,** რომელიც მიზნად ისახავს კლასში განხორციელებული სწავლა-სწავლების პროცესის გაანალიზებას და მისი შესაბამისობის დადგენას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროცესთან.

2015 წელს ეროვნული სასწავლო გეგმის შემდგომი განვითარებისა და დახვეწის მიზნით, გაგრძელდა მუშაობა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე: დასამტკიცებლად მომზადდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტები და წლიური პროგრამები, დასრულდა მუშაობა საბაზო საფეხურის საგნობრივი სასწავლო გეგმების გადამუშავებაზე შემდგომში საჯარო განხილვებისა და დამტკიცების მიზნით. ასევე, შემუშავებულია ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის სტანდარტის გრამატიკული ნაწილი, წიგნიერების

კონცეფცია. ხარისხის გაუმჯობესების და წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზნით, საანგარიშო პერიოდში შედგა თანამშრომლობა ესტონეთის განათლების სამინისტროს ფონდ "INNOVE"-ს ექსპერტებთან საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიასთან დაკავშირებით; მძიმე და ძალიან მძიმე ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის მიმდინარეობს მუშაობა ქართული ენისა და ლიტერატურის ზეპირმეტყველების და კითხვის მიმართულებით ალტერნატიული სასწავლო გეგმაზე. ამჟამად, დაწყებითი საფეხურისათვის მომზადებულია ქართული ენის ალტერნატიული (ფუნქციური) სასწავლო გეგმა, შემუშავებულია ზეპირმეტყველებისა და კომუნიკაციის სტანდარტი (მისაღწევი შედეგები).

ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების ფარგლებში განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან გატარდა რიგი ღონისძიებებისა, კერძოდ: მომზადდა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის შესახებ ევროსაბჭოს დოკუმენტის ქართულენოვანი ვერსია; არაქართულენოვანი სკოლებისათვის შემუშავდა ბილინგვური განათლების ახალი კონცეფცია; საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის, ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო ქვეპროგრამის ფარგლებში შეიქმნა ქართული ენის პროგრამის სტანდარტი.

განათლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო **სკოლამდელი განათლების კომპონენტის** განვითარებას. 2015 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით მომზადდა კანონპროექტი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ", შემუშავდა ადრეული და სკოლამდელი განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტის სამუშაო ვერსიებზე. შემუშავდა და დამტკიცდა „სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი".

შეიქმნა სასკოლო მზაობის პროგრამა (აღმზრდელის გზამკვლევი, აქტივობების კრებული), მომზადდა სასკოლო მზაობის პროგრამისთვის ტრენერთა ტრენინგის (ToT), მეთოდისტთა და საბავშვო ბაღების აღმზრდელთა ტრენინგ მოდულები.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები: ერთობლივად განსახორციელებელი აქტივობების განსაზღვრის მიზნით - ორგანიზაციებთან: „გაეროს ბავშვთა ფონდი" (UNICEF), „ვორლდ ვიჟენ - საქართველო" (World Vision); სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვისა და სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით - ქ. თბილისის მერიასთან.

- **სწავლა-სწავლების ხელშეწყობა**

სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის სახელმწიფომ დაიწყო **მასწავლებელზე ზრუნვა.** შეიქმნა **მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა**. სქემაში ჩართულია ყველა საჯარო სკოლის მასწავლებელი. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, კარიერის დაგეგმვის შესაძლებლობაზე, და მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მასწავლებლის ანაზღაურების ზრდას.

სქემის ფარგლებში შემუშავებულია მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების ახალი კონცეფცია, რომელიც გულისხმობს სასკოლო პრაქტიკის კომპონენტით გაჯერებული ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამების ამოქმედებას. აღნიშნული პროგრამები უზრუნველყოფს პრაქტიკაზე ორიენტირებული კადრების დივერსიფიცირებული გზებით შემოსვლას მასწავლებლის პროფესიაში.

საუნივერსიტეტო პროგრამების კონცეფციაზე დაყრდნობით, კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ მომზადდა ცვლილებების პაკეტი, რომელიც 2015 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო. შემუშავდა საჯარო სკოლაში მასწავლებლის ვაკანსიის გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების გამჭვირვალე და სამართლიანი წესი.

ახალი სისტემა თითოეული მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასთან ერთად, მიმართულია სკოლების გაძლიერებაზე; მასწავლებლის საქმიანობის შეფასებას ახორციელებს თავად სკოლა; სკოლებში ამოქმედდება სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ფასილიტატორის ინსტიტუტი და სკოლის შიდა შეფასების ჯგუფი, რომლებიც სტანდარტიზებული ინსტრუმენტების გამოყენებით შეაფასებენ მასწავლებლის საქმიანობას. 2015 წელს სქემის ფარგლებში განხორციელდა სკოლის მიერ არჩეული ფასილიტატორების მოსამზადებელი ტრენინგები. 170 მოსამზადებელი ტრენინგის გავლის შედეგად გადამზადდა 3720 მსმენელი. სქემის წარმატებით დანერგვისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობისთვის შეიქმნა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ გზამკვლევი, რომელიც მიეწოდა საგანმანათლებლო რესურსცენტრებს. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების გადამზადების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების და რესურსების მათ მშობლიურ ენაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სქემის დოკუმენტების კრებული, გზამკვლევის I ნაწილი, თვითშეფასების კითხვარი და ქართული ენის თვითშეფასების ტაბულა ითარგმნა და დაიბეჭდა აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე, ასევე მომზადდა საგნობრივი ტრენინგ-მოდულები და სატრენინგო მასალები

მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემის დანერგვით, სკოლებზე პასუხისმგებლობის დელეგირებით, მათი ავტონომიურობის გაზრდით 2015 წელს შეიქმნა 2011-2014 წლებში სქემაში ჩართული მასწავლებლების პროფესიული პორტფოლიოს შეფასების დოკუმენტაცია, განაცხადის ფორმა და რუბრიკები;

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ ფარგლებში, განხორციელდა მასწავლებელთა შეფასების ელექტრონული სისტემის შემუშავება და მისი ინტეგრაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნული სისტემის მეშვეობით განხორციელდება სქემაში ჩართული მოქმედი მასწავლებლების საქმიანობის შედეგების ელექტრონული აღრიცხვა და შეფასება.

მასწავლებელთა კარიერული განვითარების სქემის შესაბამისად განხორციელდა კატეგორიების მიხედვით მასწავლებლების გადანაწილება და მათთვის შესაბამისი სტატუსის (პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი და მენტორი) მინიჭება.

მასწავლებლის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით განხორციელდა მასწავლებელთა **სახელფასო ზრდა,** მასწავლებლობის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შესაბამისად:

2015 წლის სექტემბრის თვიდან პედაგოგთა საბაზო ხელფასი გაიზარდა 50 ლარით და შეადგინა 355 ლარი. ამასთან, სრული დატვირთვის შემთხვევაში უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი განისაზღვრება არანაკლებ 160 ლარით, წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი 250 ლარით, ხოლო მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი არანაკლებ 300 ლარით. მიმდინარე რეფორმის მეორე ეტაპზე (2016 წლის აპრილიდან) საბაზო ხელფასი გაიზრდება 405 ლარამდე (ზრდა 50 ლარი); ამასთან, დიფერენცირებული და მზარდი იქნება მასწავლებლების ანაზღაურება სხვადასხვა კარიერულ საფეხურზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საანგარიშო პერიოდში უზრუნველყო 1 048 **ოკუპირებული რეგიონების პედაგოგისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ყოველკვარტალური ფინანსური დახმარება.** ამ მიზნით სულ მიიმართა 2.3 მლნ ლარი;

მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სკოლების ადამიანური რესურსების გაძლიერების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მოქმედებს სხვადასხვა პროგრამა. აღნიშნული პროგრამები ემსახურება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 60 000-ზე მეტ მასწავლებელს, 2 000-ზე მეტ სკოლის დირექტორს, ამდენივე საჯარო სკოლას, მათ შორის 230 არაქართულენოვან სკოლას და მათ მოსწავლეებს.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისთვის (სპეციალური მასწავლებელი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, ფსიქოლოგი) შემუშავებული მოდულების საფუძველზე გადამზადდა სხვადასხვა სპექტრის სსსმ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მომუშავე 400 პედაგოგი. აღსანიშნავია, რომ შემუშავდა 0.5 კრედიტის მოცულობის ტრენინგ-მოდული ინკლუზიური განთლების, კერძოდ, სწავლების პროცესში ინდივიდუალური მიდგომების და უნივერსალური დიზაინის პრინციპების გამოყენების თემაზე. აღნიშნული მოდულის გავლა სავალდებულო იქნება ყველა მასწავლებლისთვის, რომელიც მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის მიხედვით წარმოადგენს პრაქტიკოს მასწავლებელს.

საჯარო სკოლის ფინანსურ-ადმინისტრაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდა საჯარო სკოლის დირექტორების ტრენინგები, რომლებიც გაიარა საჯარო სკოლების 2000 -მდე დირექტორმა. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგები ჩაუტარდა საჯარო სკოლის პერსონალს. ამ მიმართულებით ტრენინგზე დარეგისტრირებულ მსმენელთა რაოდენობამ 200-ს გადააჭარბა.

სკოლის დირექტორების შერჩევისა და შეფასების, ასევე მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცედურის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა მასწავლებელთა სერტიფიცირების არსებულ სისტემაში შეფასების ახალი კომპონენტის -SABER-ის (Systems Approach for Better

Education Results) დამატება, რაც მიმართულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების შერჩევისა და შეფასების სანდო და სრულყოფილი სისტემის შემუშავებისაკენ.

უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესის და გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობის მიზნით 2015 წელს განხორციელდა „სკოლის მასწავლებელთა ონლაინ სისტემაში ჩართვა და დამეგობრება ევროპის ქვეყნების მასწავლებლებთან (eTwinning Plus). პროექტი მიზნად ისახავს მრავალფეროვანი პედაგოგიური მეთოდების დანერგვას, პროექტებით სწავლების ხელშეწყობას და ელექტრონული რესურსების ეფექტური გამოყენებას. პროგრამაში რეგისტრირებული მასწავლებლების ნაწილი ჩართულია ევროპელი კოლეგების მიერ ინიცირებულ პროექტებში, ხოლო 10% ახდენს პროექტების ინიცირებასა და მართვას. 2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით პროგრამაში ჩართულია 144 სკოლა, 350 მასწავლებელი, პორტალზე რეგისტრირებულია 510 პროექტი, მათგან 223 მიმდინარე აქტიური პროექტიდან 42- ქართველი მასწავლებლების მიერ არის ინიცირებული.

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგვმის საპილოტე პროგრამის ფარგლებში მომზადდა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვი პროგრამის პრაქტიკული გზამკვლევი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მე-9 კლასის პედაგოგებისთვის; შემუშავდა ტრენერთა ტრენინგის (TOT) მოდულები და მასალები, რის მიხედვითაც გადამზადდა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის 73 სპეციალისტი. ამავე პერიოდში მომზადდა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთა (მასწავლებელთა) მოსამზადებელი სატრენინგო მასალები, რის მიხედვითაც 2015 წლის ნოემბრის თვეში განხორციელდა 900-ზე მეტი პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამაზე პასუხისმგებელი პირის (მასწავლებელთა) გადამზადება.

2015 წელს სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის **არაქართულენოვანი სკოლებში ადგილობრივი პედაგოგების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის** და ქართული ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“. ასევე, მოეწყო ინტეგრირებული საზაფხულო ბანაკი, რომელშიც ჩართული იყო 150 არაქართულენოვანი მოსწავლე და პროგრამის 30 კონსულტანტ-მასწავლებელი. საქართველოს შორეული, მაღალმთიანი და ბარის რაიონების საჯარო სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობისა და განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით 2015-2016 სასწავლო წელს „ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულება გაუფორმდა 182 სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის კვალიფიციურ კონსულტანტ-მასწავლებელს. 2012-2014 სასწავლო წლებში ცენტრის მიერ ნაკისრი ვალდებულებით მაგისტრატურაში სწავლა დაუფინანსდა პროგრამის 18 მონაწილეს.

საერთო ჯამში 2015 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ფარგლებში ორგანიზებული ტრენინგებისა და პროგრამების ფარგლებში გადამზადდა 28 000-ზე მეტი მასწავლებელი, სკოლის დირექტორი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, ფასილიტატორი, სასკოლო მზაობის, დაწყებითი განათლების, ინკლუზიური და პროფესიული განათლების მასწავლებელი.

განათლების პოპულარიზაციისა და სასწავლო პროცესით მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით 2015 წელს **სამინისტროს ეგიდით** ჩატარდა ოლიმპიადები X-XII კლასის მოსწავლეებისთვის ქართული ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში,

ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში, ისტორიასა და უცხოური ენებში (ინგლისური, გერმანული, რუსული). სამინისტრომ უზრუნველეყო ოლიმპიადის ჩატარება სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენაზე. ოლიმპიადის შედეგად გამოვლინდა **132 გამარჯვებული მოსწავლე.** აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადაში მონაწილეობა შეუძლიათ უსინათლო მოსწავლეებსაც (გამოყენებულია ბრაილის შრიფტი).

სამინისტრო რეგულარულად უზრუნველყოფს ეროვნულ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეების **საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობას.** 2015 წელს საქართველოს ნაკრებ გუნდებს ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკაში, ინფორმატიკასა და ბიოლოგიაში მიეცათ საშუალება, მონაწილეობა მიეღოთ მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ ოლიმპიადაში, სადაც მათ 1 ვერცხლის და 7 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მედლების მფლობელები სამინისტროს მხრიდან დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებით.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების პოპულარიზაციის მიზნით 2015 წელს სამინისტროს ეგიდით ჩატარდა ეროვნული ტურნირი ინფორმატიკაში (გამოვლინდა 12 გამარჯვებული მოსწავლე) და გუნდური კონკურსები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (თითოეულ საგანში გამოვლინდა 3-3 გამარჯვებული გუნდი).

2015 წელს განხორციელდა **საერთაშორისო საგანმანათლებლო ექსკურსიები,** რომლის ფარგლებში პოლონეთში, კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრში გაემგზავრა ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებში, გუნდური პროექტების კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეების/მათი ხელმძღვანელების გუნდი. გუნდური პროექტების კონკურსში მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში I ადგილზე გასული მოსწავლეები და მათი ხელმძღვანელები გაემგზავრნენ შვეიცარიაში, ცერნის ბირთვული კვლევების ევროპის ცენტრში.

2015 წელს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების გამოვლენისა და განვითარების მიზნით სამინიტრომ გამოაცხადა შემდეგი სასკოლო კონკურსები: ვიდეორგოლების კონკურსი „ევროპა ჩემს ობიექტივში“, ბლოგების კონკურსი ,,პლანეტა თამბაქოს კვამლის გარეშე'', ძალადობის წინააღმდეგ მიმართული „მოსწავლეთა დღიურების კონკურსი“, ესეების კონკურსი არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებისთვის „ჩემი კულტურა და ტრადიციები“, ვაჟა-ფშაველას იუბილესადმი მიძღვნილი თეატრალური ფესტივალი, აკაკი წერეთლის იუბილესადმი მიძღვნილი ესეების, ხელნაკეთი ნივთებისა და სკოლის ინიციატივების კონკურსი, იაკობ გოგებაშვილის იუბილესადმი მიძღვნილი ილუსტრაციების კონკურსი.

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით 2015 წელს განხორციელდა **სასკოლო ინიციატივების წახალისების** ქვეპროგრამა. მის ფარგლებში ფინანსდება ეროვნული სასწავლო გეგმების მიღწევებზე ორიენტირებული მცირებიუჯეტიანი პროექტები, რომლებიც შესაბამისობაშია წინასწარ განსაზღვრულ პრიორიტეტებთან. ქვეპროგრამის ფარგლებში კომისიამ განიხილა 95 პროექტი, რომელთაგან 32 დაფინანსდა.

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის მოსწავლეებში **სამეწარმეო უნარების განვითარების** და სამეწარმეო კულტურის ამაღლების მიზნით გაგრძელდა თანამშრომლობა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან, 2014 წელს სამინისტროს მიერ დამტკიცებული „მეწარმეობის საფუძვლების“ არჩევითი საგნის დანერგვის მიმართულებით. განახლებული სტანდარტის საფუძველზე შემუშავდა სახელმძღვანელო, როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის

კომპონენტით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საგნის სწავლება მოისურვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 221-მა სკოლამ, რომელთაც გადაეცათ შესაბამისი მასალები.

მოსწავლეებში კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ლიდერული უნარ-ჩვევების, ტოლერანტობის და სხვა ღირებულებების აღზრდის მიზნით სამინისტრომ განახორციელა **საზაფხულო სკოლების პროგრამა.**

პროგრამის ფარგლებში **ინგლისური ენის საზაფხულო სკოლაში** მონაწილეობა მიიღო ეროვნული სასწავლო ოლიმპიადებიდან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული სხვადასხვა კონკურსებიდან შერჩეულმა მე-9, მე-10, მე-11 კლასის 600 მოსწავლემ. მათგან შერჩეული 36 მოსწავლე გაემგზავრა დიდ ბრიტანეთში ორკვირიან ინგლისური ენის საზაფხულო კურსებზე

„მომავალ ლიდერთა საზაფხულო სკოლაში“ მონაწილეობა მიიღო ეროვნული სასწავლო ოლიმპიადებიდან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული სხვადასხვა კონკურსებიდან საუკეთესო შედეგების მქონე 90 მოსწავლემ.

კულტურათაშორისი დიალოგისა და ქართული ენის სწავლა-სწავლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა **„მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა ეთნიკური უმცირესობებისთვის“**, სადაც მონაწილეობა მიიღო არაქართულენოვანი სკოლების/ სექტორების მე-9, მე-10 და მე-11 კლასების საუკეთესო შედეგების მქონე 50 მოსწავლემ და კონკურსში მონაწილე მოსწავლეების 50 მასწავლებელმა.

საჯარო სკოლების საშუალო საფეხურის (XI-XII კლასები) მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ, კონსულტაციის შედეგად ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობით, შემუშავდა საინფორმაციო-სასწავლო კურსი - **"არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი",** რომელიც ეტაპობრივად უტარდება საშუალო საფეხურის XI-XII კლასების მოსწავლეებს.

2015 წელს ზოგადი განათლების საფეხურის წარჩინებით დამთავრების აღსანიშნავად 1150 მოსწავლეს ჯილდოს სახით გადაეცა ოქროს, 960 მოსწავლეს კი- ვერცხლის მედალი.

სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, **„წარმატებული სკოლებისა და პედაგოგების წახალისების ქვეპროგრამის“** ფარგლებში ფულადი პრიზებით დაჯილდოვდა 128 პედაგოგი.

სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სამინისტროს ეგიდით სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი რეგულარულად ახორციელებს **კვლევებსა და შეფასებებს.** 2015 წელს შეფასებები და კვლევები ჩაატარდა კითხვის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ზოგადად წიგნიერების კუთხით მოსწავლეთა მიერ სკოლაში შეძენილი ცოდნისა და უნარების შეფასების მიზნით. აღნიშნული მიმართულებით ჩატარებულ კვლევებისა და შეფასებების (PISA, TIMSS, PIRLS, TALIS) ძირითად ტესტირებაში საქართველოს მასშტაბით მონაწილეობა მიიღო 450-ზე მეტი სკოლის 15 000-მდე მოსწავლემ, მშობელმა და სკოლის დირექტორმა. პროგრამის ფარგლებში ძირითადი კვლევებისათვის მომზადდა კვლევის ინსტრუმენტები: ტესტები, კითხვარები, სკოლის კოორდინატორის სახელმძღვანელო. ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეიქმნა მონაცემთა ბაზები, რომლებიც გადაეგზავნა საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებს (DPC, გერმანია, Westat და ETS, აშშ) საერთაშორისო ბაზების ფორმირებისა და კალიბრაციისათვის.

- **საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება**

საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით 1163 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, 419 საჯარო, 3 კერძო სკოლაში, 2 პროფესიულ სასწავლებელსა და 1 უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას. 2015 წელს მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნის, მცხეთის, ქობულეთის, საგარეჯოს, თელავისა და ქარელის მუნიციპალიტეტების იმ 18 საჯარო სკოლაში განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების შეყვანა, **სადაც ისინი არ იყვნენ წარმოდგენილნი.**

უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, თბილისის ყველა საჯარო სკოლაში **შეიქმნა საგანგებო სიტუაციების შტაბები**, რომლის შემადგენლობაშიც ჩართულები არიან მანდატურები. საგანგებო სიტუაციების შტაბების შექმნა ეტაპობრივად მიმდინარეობს საქართველოს რეგიონების საჯარო სკოლებში, ამ ეტაპზე შტაბები შექმნილია რეგიონების 135 საჯარო სკოლაში, 2015-2016 სასწავლო წლის ბოლომდე კი - შეიქმნება ყველა საჯარო სკოლაში, სადაც საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურია წარმოდგენილი. შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში გადამზადდა 522 მანდატური, რომლებიც სამოქალაქო უსაფრთხოების და საგანგებო სიტუაციების მართვის თეორიულ/პრაქტიკულ საკითხებს დაეუფლნენ. ეტაპობრივად მოხდება ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის გადამზადება.

2013 წლის აპრილიდან მანდატურის სამსახურში ფუნქციონირებს **ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი**, რომელიც ფსიქო-სოციალურ მომსახურებას უწევს ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვებს, მოზარდებს, მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, ასევე, კონსულტირებას უწევს მანდატურებს, მასწავლებლებს, სკოლის ადმინისტრაციას. 2015 წელს საქართველოს 6 ქალაქში მდებარე ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებში (თბილისი, ქუთაისი, თელავი, ბათუმი, ფოთი, გორი) რეფერალითა და თვითდინებით გადმომისამართდა 1228 ბენეფიციარი.

2015 წელს ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრმა განახორციელა პროგრამა **„ბავშვთა მიმართ ძალადობა - გადამისამართების პროცედურები ბავშვის დაცვის საჭიროების შემთხვევებში“.** პროექტის მიზანია მანდატურებისა და საჯარო სკოლების წარმომადგენლების გადამზადება, რათა მათ შეძლონ ბავშვზე ძალადობის პრევენცია, ძალადობის შემთხვევების ამოცნობა და მათზე რეაგირება. სატრენინგო კურსი მოიცავდა თეორიულ მასალას ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, ჯგუფთან მუშაობის პრინციპებს, თემატურად დაკავშირებულ ღონისძიებებს. დღეის მდგომარეობით პროგრამის ფარგლებში გადამზადებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა მანდატური და მიმდინარეობს სკოლის წარმომადგენლების გადამზადების პროცესი. ამ ეტაპზე უკვე გადამზადებულია 570-მდე საჯარო სკოლის წარმომადგენელი.

უსაფრთხო და ეფექტური საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის და მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, 2015 წელს 184 საჯარო სკოლაში მოეწყო **სამედიცინო კაბინეტი.**

- **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით განათლების სისტემაში განხორციელდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დანერგვა. შედეგად, არასანქცირებული წვდომისა და რესურსების არამიზნობრივი ხარჯვისაგან თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაცულია ერთიანი საგანმანათლებლო ქსელი.

ქსელის გამტარობის ოპტიმიზაციისა და წარმადობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა უსადენო(WiFi) კავშირის ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ინტეგრირება და არსებულ დომენურ სისტემასთან (Active directory) თავსებადი ავტორიზაციის სისტემის დანერგვა.

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა თბილისის სკოლებში უსადენო ინტერნეტისა და საკლასო ოთახების/კლას-კაბინეტების ლოკალური ქსელის მოწყობის კონცეფციის შემუშავებაზე. სკოლების უსადენო ინტერნეტით (WiFi) აღჭურვის უზრუნველსაყოფად, შემუშავდა პროგრამის პილოტირების პროექტი, რომელიც წარმატებით განხორციელდა სსიპ ქალაქ თბილისის 123-ე საჯარო სკოლასა და თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში.

მომხმარებელთა ფოსტის მოცულობის გაზრდისა და საფოსტო სერვისის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა სკოლების ელექტრონული საფოსტო სისტემის გადატანა ღრუბლოვან ტექნოლოგიაზე (Office 365), შედეგად შეიქმნა ერთიანი ცენტრალიზებული, კოლაბორაციული ელექტრონული საფოსტო სისტემა. 2015 წელს შემუშავდა ზოგად განათლებაში ICT ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკის კონცეფცია (ICT Policy), რომლის მიზანია ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა განათლების სისტემის ტრანსფორმაციის გზით.

2015 წელს განხორციელდა მოსწავლეთა მართვის საინფორმაციო სისტემის (eStudents) ჩანაცვლება, ახალი, ფუნქციურად გაუმჯობესებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემით (eSchool). პროექტის ფარგლებში, საწყის ეტაპზე საქართველოს მასშტაბით, საჯარო და კერძო სკოლებში დაინერგა ახალი სისტემის შემადგენელი ისეთი მოდულები, რომელიც ხელს უწყობს განათლების მართვის ორგანოების სხვადასხვა მენეჯერული ამოცანების გადაწყვეტას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემის დანერგვის ფარგლებში, eSchool-ის ფუნქციონალისა და გამოყენების წესების სწავლების მიზნით მართვის სისტემამ უზრუნველყო შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება საჯარო და კერძო სკოლებისათვის.

- **ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება,სარეაბილიტაციო სამუშაოები**

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა **საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით.** 2015 წლის დღეის მდგომარეობით დასრულებულია 2 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა (სოფ. ბუღაშენის, სოფ. ზედა ვანის საჯარო სკოლა); ამავდროულად 507 საჯარო სკოლაში დასრულებულია სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, დასრულებულია 28 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე არსებული ძველი შენობების დემონტაჟის პროექტები. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს 7 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის პროცესი.

სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს 84 საჯარო სკოლაში და 13 პროფესიულ სასწავლებელში. **10 საჯარო სკოლაში, 1 პროფესიულ სასწავლებელსა და 2 რეგიონალურ რესურსცენტრში** განსახორციელებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები, რომელთა შედეგების საფუძველზე 2016 წელს დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დასრულებულია 4 რეგიონალურ რესურსცენტრის, 2 საჯარო სარეაბილიტაციო სკოლის, 2 მასწავლებელთა სახლის, 4 პროფესიული სასწავლებლის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პროექტირება.

10 უმაღლესი სასწავლებელისათვის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად მომზადდა პროექტები და გადაეცათ დაფინანსება შესაბამისი სამუშაოების განხორცილების მიზნით. აქედან 6 უმაღლესი სასწავლებლის დაფინანსება პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად. აქედან 5 მათგანის აღჭურვის და ერთი მათგანის რეაბილიტაციის მიზნით.

50 საჯარო სკოლაში სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად მომზადდა პროექტები და განხორციელდა დაფინანსება.

დამატებით გაცნობებთ, რომ საერთო ჯამში საქართველოს მასშტაბით:

50 საჯარო სკოლაში რეაბილიტირდა წინასასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული საკლასო ოთახები

48 საჯარო სკოლაში რეაბილიტირდა **სპორტული დარბაზი**

12 საჯარო სკოლაში მოეწყო **სპორტული მოედანი**

13 საჯარო სკოლაში, შშმპ ადაპტირებული გარემოს მოწყობის თვალსაზრისით, **მოეწყო პანდუსი**

83 საჯარო სკოლაში შშმპ ადაპტირებული გარემოს მოწყობის თვალსაზრისით, **მოეწყო ადაპტირებული სან/კვანძი**

100-ზე მეტ საჯარო სკოლაში ჩატარდა/ტარდება გათბობის **სისტემის რეაბილიტაცია.**

16 საჯარო სკოლაში მოეწყო/ეწყობა ახალი **გათბობის სისტემა.**

2015 წელს საჯარო სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების აღჭურვის მიზნით შესყიდულ იქნა **126 572 ცალი მერხი** ; **45 000 პირველ კლასელს** გადაეცა კომპიუტერი, **190 საჯარო სკოლა** აღიჭურვა და მოეწყო **სამედიცინო კაბინეტის** შესაბამისი ავეჯით. ამავდროულად 294 საჯარო სკოლას გადაეცა კომპიუტერები სამედიცინო კაბინეტისათვის. **1969 წარჩინებულ მოსწავლეს** საქართველოს მასშტაბით გადაეცა კომპიუტერები. ელექტრონული ჟურნალების წარმოების მიზნით **6 300 ცალი კომპიუტერი** გადაეცათ საჯარო სკოლებს, ხოლო სრულად აღიჭურვება 2016 წლის პირველ კვარტალში.

- **პროფესიული განათლება**

- **პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა**

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა 2015 წელს პროფესიულ განათლებაზე **ხელმისაწვდომობის** გაზრდისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოების კუთხით. საქართველოს რკინიგზის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ თბილისში **დაფუძნდა სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი**; ასევე **ცალკეული რეგიონების საჭიროებების შესწავლის საფუძველზე** მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული არეალის გაფართოების შესახებ, რომლის საფუძველზეც დაიწყო (და რიგ შემთხვევებში უკვე დასრულდა) არსებული **კოლეჯების სასწავლო ბაზების რეაბილიტაცია 8 დამატებით მუნიციპალიტეტში:** ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, ალვანი, ხობი, სენაკი, ბაღდათი, სტეფანწმინდა, თიანეთი.

საჭიროებების შესაბამისად დაწყებულია **სტუდენტური საცხოვრებლების მშენებლობა-რეაბილიტაციის** პროცესები, რათა კოლეჯებიდან მოშორებით მცხოვრები მოსახლეობისთვისაც შეიქმნას პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა. 2015 წელს დასრულდა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (რომლის კონტიგენტის უმრავლესობა პროფესიული სტუდენტები არიან) სტუდენტური საცხოვრებლის რეაბილიტაცია, ასევე სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" მიერ განხორციელდა საზოგადოებრივ კოლეჯ "იბერიას" დაფინანსება სტუდენტური საცხოვრებლის რეაბილიტაციის მიზნით, ხოლო მესტიაში მდებარე კოლეჯისათვის მომზადდა სტუდენტური საცხოვრებლის მშენებლობის პროექტი.

2015 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, პროფესიული განათლება კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდა **მსჯავრდებული, თავისუფლებაშეზღუდული პირებისა და პრობაციონერებისათვის.** 2015 წელს, პროფესიული მომზადების პროცესში ჩაერთო 800-ზე მეტი ბენეფიციარი, მათგან 418-მა შესაბამისი კურსი უკვე გაიარა, ხოლო 430-მდე მსჯავრდებული მიმდინარე ეტაპზეც აგრძელებს სწავლას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი პროგრამის დაწყებიდან დღემდე, ეს არის პროფესიულ პროგრამებზე მსჯავრდებულთა ჩართულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობის ფარგლებში, ყოფილ პატიმართა, მათი ოჯახის წევრთა ან/და განრიდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით, დაფინანსდა 40-მდე ყოფილი პატიმრისა და მათი ოჯახის წევრების პროფესიული მომზადება კოლეჯებში.

ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესში ჩართულ 18 სახელმწიფო კოლეჯში დაწყებულია შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის ადექვატური სასწავლო გარემოს შექმნა. 2015 წელს პროფესიულ პროგრამებზე ორჯერ გამოცხადებული მიღების ფარგლებში ჩარიცხულ სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა რიცხვმა 220-ს გადააჭარბა. საჭიროების შესაბამისად ყველა კოლეჯში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და სპეციალური ასისტენტების (მიმდინარე ეტაპზე 20 სპეციალისტი) მომსახურება, სმენადაქვეითებულ პირების საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესში ჩართულები არიან ჟესტური ენის თარჯიმნები (საჭიროების გათვალისწინებით სულ 14 თარჯიმანი). **სსსმ პირთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის** შეიქმნა ქართული ჟესტური ენის განვითარების მეთოდოლოგია; შეგროვდა და სპეციალურად ამ მიზნისთვის განსაზღვრულ ვებ-გვერდზე აიტვირთა 15000 -მდე ჟესტი. მხედველობადაქვეითებულ სტუდენტებისათვის შეძენილ იქნა სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც მათ მასალის წაკითხვაში დაეხმარება. აღსანიშნავია, რომ **2015 წელს სხვადასხვა ორგანიზაციებში დასაქმდა 19 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე კურსდამთავრებული**.

ნორვეგიის განათლებისა და კვლევების სამინისტროსთან საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, **უნივერსალური დიზაინის პროექტის შესაბამისად მიმდინარეობს 5 კოლეჯის** ("სპექტრი", "მერმისი", "აისი" ,,ოპიზარი“, ,,იბერია“) **რეაბილიტაცია.**

2015 წელს სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსდა სისტემაში შემოსული 10 300- მდე პროფესიული სტუდენტი. სამინისტროს მიერ და მისი მონაწილეობით დაფუძნებულმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა წლის განმავლობაში სრულად მიიღეს საჭირო დაფინანსება.

- **პროფესიული განათლების სისტემის დახვეწისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარე პროცესები**

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის განვითარების 2013-2020 წლების სტრატეგიის ფარგლებში 2013 წლიდან ხორციელდება „პროფესიული კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“, რომლის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მეთოდოლოგიის დანერგვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს პროფესიული სტანდარტების გადახედვა, მოდულური პროგრამებისა და მათი შესაბამისი სასწავლო მასალებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება. 2015 წელს შემუშავდა 100 და დამტკიცდა 54 **პროფესიული სტანდარტი,** ასევე დამტკიცდა 54 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი. ყველა დამტკიცებული სტანდარტი, პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი და მოდული განთავსდა ერთიან რეესტრში, რომელიც პროგრამასთან თანამშრომლობით შეიქმნა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ ბაზაში (http://vet.ge/jump_profession/direction/).

გაგრძელდა პროფესიული საგანმანათლებლო **პროგრამების რეფორმის პროცესი,** რაც ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მოქნილი და კომპეტენციებზე დაფუძნებული მოდულური პროგრამების დანერგვას. 26 პროფესიულ და უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაინერგა 45 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა. სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოდულურ პროგრამებზე 1300-მდე პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა.

საქართველოს მასშტაბით არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში **ინოვაციური და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბების მიზნით**, მთელი წლის განმავლობაში 15 კოლეჯში მიმდინარეობდა სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტები. მოდულური პროგრამების ფარგლებში დამტკიცებულ ტექნიკურ ნორმატივებთან მიმართებით გაანალიზდა კოლეჯების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად განხორციელდა ყველა საჯარო კოლეჯის აღჭურვა. ამას გარდა, კოლეჯები აღიჭურვნენ ახალი საოფისე ავეჯით (11 კოლეჯი), პორტაბელური კომპიუტერებით (9 კოლეჯი) და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. კოლეჯებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 12.4 მლნ. ლარი.

პროფესიული განათლების სისტემაში დაინერგა სტუდენტთა სასწავლო პროცესზე დასწრებისა და მოსწრების **აღრიცხვის ელექტრონული სისტემა.** 500-ზე მეტ პედაგოგს ჩაუტარდა ტრენინგი ელექტრონული ჟურნალის წარმოებისა და ადმინისტრირების კუთხით.

პროფესიულ განათლებაში დამსაქმებელთა ჩართულობის უზრუნველყოფის და დამატებითი სასწავლებლების განვითარების მიზნით, მუშავდება საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელები. ამ ფორმატში უკვე დაფუძნდა სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი, სადაც როგორც კოლეჯის დაფუძნებაზე, ასევე მისი ინფრასტრუქტურის განვითარების, მართვისა და ფუნქციონირების საკითხებზე პასუხისმგებლობას თანაბრად ინაწილებენ სამინისტრო და „საქართველოს რკინიგზა“, რომელიც პროფესიული კვალიფიკაციის მქონე კადრების ყველაზე დიდი დამსაქმებელია საქართველოში. ასევე გაფორმდა შეთანხმება ბიპი ექსფლორეიშენთან (BP Exploration) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ყალიბდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო ცენტრი. ცენტრი, საერთაშორისო დონის პარტნიორთან ერთად შეიმუშავებს პროგრამებს და სამშენებლო სექტორისთვის მოამზადებს მაღალკვალიფიციურ კადრებს (შემდუღებლებს, ელექტრიკოსებს, მექანიკოსებს და სხვ.).

2015 წელს შესწავლილ იქნა ევროპის ქვეყნების პროფესიული განათლების სისტემების მიერ მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერის პრაქტიკა და ზოგადად, ამ მიმართულებით ევროკავშირის პოლიტიკის დოკუმენტებში დეკლარირებული პრიორიტეტები, გაანალიზდა საქართველოს პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე თვისებრივი ცვლილებები და მიდგომები, რომლებიც თვითდასაქმებისა და მეწარმეობის ხელშეწყობაზეა ორიენტირებული. შედეგად მომზადდა „პროფესიული განათლების სისტემის მიერ მეწარმეობის განვითარებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის კონცეფცია“. ყველა მოდულური პროგრამის სავალდებულო კომპონენტად განისაზღვრა სამეწარმეო განათლება. დაწყებულია მუშაობა მეწარმეობის პრაქტიკული და სიმულაციური სწავლების განვითარების მიმართულებით. 14 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების (ფაბლაბის) მოწყობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში მომზადდა კონცეფცია და ტექნიკური დოკუმენტაცია, გამოცხადდა ტენდერი და დაიწყო შესაბამისი სამუშაოების განხორციელება.

2015 წელს გაგრძელდა მუშაობა **პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბებაზე.** ამ მიმართულებით 2014 წელს მომზადებული კონცეფცია მოიწონა როგორც საქართველოს მთავრობამ, ასევე სისტემაში ჩართულმა ყველა დაინტერესებულმა მხარემ. შესაბამისად ხორციელდება კონცეფციის სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც უკვე დამუშავებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიის რეგულირების დოკუმენტი. სამუშაო პროცესი მხარდაჭერილია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მიერ და ამ პროცესში ჩართულია ყველა პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაცია, ასევე სოციალური პარტნიორები, კოლეჯების მასწავლებლები, განათლების სპეციალისტები და სხვა დაინტერესებული მხარეები. უახლოეს პერიოდში დაიწყება დოკუმენტის უფრო ფართო განხილვები, პირველ რიგში, სისტემაში დღეს არსებულ მასწავლებლებთან, რომლებსაც თვისებრივად ახალ რეალობაში მოუწევთ საქმიანობის წარმართვა. 2016 წლიდან დაგეგმილია პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის პედაგოგიური კურსის შეთავაზება. ამგვარი სახის სტრუქტურირებული პედაგოგიური კურსი სიახლეა და ის მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, სტუდენტზე ორიენტირებულად დაგეგმოს და წარმართოს სასწავლო პროცესი. გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებითა და მხარდაჭერით შეიქმნა „პროფესიული განათლების მასწავლებლის პედაგოგიური გზამკვლევი“, რაც ერთგვარი სახელმძღვანელო იქნება მასწავლებლებისათვის ახალი სისტემის პირობებში.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ყოველწლიურად იგეგმება და ხორციელდება **პროფესიული განვითარების ტრენინგები** და სხვა ღონისძიებები. მათი თემატიკა მრავალფეროვანია (მოდულური პროგრამების შემუშავება, სტუდენტთა შეფასება მოდულური მიდგომით სწავლებისას, სწავლების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, ინკლუზიური განათლების მიდგომები და სხვ.) და შეესაბამება, როგორც სფეროში არსებულ ცვლილებებს, ასევე მასწავლებლების საჭიროებებს. 2014 წელს დაიწყო მასწავლებლებისათვის პრაქტიკული ტრენინგები საწარმოებში - რეალურ სამუშაო გარემოში. კერძო კომპანიების მხარდაჭერით, 2014-2015 წლებში, სჯარო კოლეჯების თითქმის ნახევარმა უკვე გაიარა აღნიშნული ტრენინგი. ამ მიმართულებით მუშაობა 2016 წელსაც აქტიურად გაგრძელდება.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ხაზს უსვამს ევროპული გამოცდილების სრულად გათვალისწინების საჭიროებას პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. მიმდინარეობს მუშაობა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს დახვეწასა და სრულყოფაზე.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდ - საქართველოს (MCA-Georgia) პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ ფარგლებში დაიწყო **12 მილიონი აშშ დოლარის საგრანტო კონკურსის განხორციელება,** რომლის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების

შესაბამისი, ახალი, ან უკვე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საინჟინრო, ტექნოლოგიურ, სასოფლო–სამეურნეო და ტურიზმის მიმართულებით.

2015 წელს განხორციელდა **პროფესიული განათლების სისტემაში 2014** წლიდან **დანერგილი ყოველწლიური კვლევები**, რომელთა მიზანია განხორციელებული ცვლილებების ეფექტურობის შეფასება შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელებისთვის. კვლევების ანგარიშები განთავსებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე (http://mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo).

2015 წელს გაგრძელდა მუშაობა **პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონ-პროექტის** მომზადებაზე. კანონპროექტის პირველადი რედაქცია სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შემუშავდა და მისი მიზანია სრულად უპასუხოს პროფესიული განათლების სისტემის არსებულ გამოწვევებს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს. მიმდინარე ეტაპზე, სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტებთან/სამსახურებთან ერთად, კანონპროექტის დამუშავებაში ჩართულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი.

2015 წელს პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით გაიმართა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, მათ შორის: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, **WorldSkills Gerogia-ას** ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა პროფესიული განათლების კვირეული; საქართველომ მონაწილეობა მიიღო მსოფლიო უნარების ოლიმპიადაში - WorldSkills 2015, რომელიც გაიმართა სან პაულოში; UNESCO“-ს პროფესიული განათლების საერთაშორისო ცენტრის „UNEVOC“-ის ინიციატივით გაიმართა თემატური გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო პროფესიულ სტუდენტთა ნამუშევრები ქართული კულტურული და ტრადიციული ხელოვნების მიმართულებით; მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის IOM-ის პროექტის ფარგლებში გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით ჩატარდა მსოფლიო ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; საქართველო–ესტონეთის წარმატებული პარტნიორობის ფარგლებში მოეწყო „პროფესიული უნარების ფესტივალი“.

- **უმაღლესი განათლება და მეცნიერება**

- **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა**

2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაატარა რიგი ღონისძიებებისა ხარისხიანი **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის** მიმართულებით.

შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან და არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით, უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სახელმწიფო სრულად აფინანსებს 21 პრიორიტეტულ საბაკალავრო პროგრამას. სტუდენტთა პროგრამული დაფინანსებისთვის 2014 წელს გამოიყო 11.2 მილიონი ლარი, 2015 წელს კი ამ მიმართულებით გამოყოფილია 12.7 მილიონი ლარი. 2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 15 მაისის N43 ბრძანებით დამტკიცებული ბაკალავრიატის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალობებზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსების ფარგლებში განისაზღვრა 5653 ადგილი, რაც გასულ წელთან შედარებით 641 ადგილით მეტია.

სტუდენტთა საბაკალავრო და სამაგისტრო **საგრანტო დაფინანსება სოციალური პროგრამების ფარგლებში** 2015 წელს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე სახელმწიფო სასწავლო გრანტი მოიპოვა სხვადასხვა კატეგორიის 1367 სტუდენტმა. სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გაიცა სხვადასხვა კატეგორიის 71 სტუდენტზე.

- **გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამის** ფარგლებში დაზარალებული სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით 2014-2015 სასწავლო წელს სახელმწიფომ დააფინანსა 581 სტუდენტი, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხნენ და სწავლობენ აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, დიპლომირებული მე-დიკოსის/სტომატოლოგის ან მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრა-მებზე. 2015-2016 სასწავლო წელს სახელმწიფოს მიერ დაფინანსდა აღნიშნული კატეგორიის 725 სტუდენტი. ამ მიზნით სულ მიიმართა - 1.9 მლნ ლარი;

მიმდინარე წელს პირველად შემუშავდა ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს **აფხაზეთში მცხოვრები სტუდენტების** დამატებით ხელშეწყობას. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N367 დადგენილების საფუძველზე დაფინანსდა სამი სტუდენტი, რომლებმაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების შემდეგ, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე განაგრძეს სწავლა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საქართველოში მცხოვრები **ეთნიკური უმცირესობებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით,** ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მომზადების საფუძველზე ზოგადი უნარების მხოლოდ აზერბაიჯანულენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე 2015 წელს ჩაირიცხა 522 სტუდენტი;

ერთიანი ეროვნული გამოცდების სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულთა რიცხვმა 219 შეადგინა.

საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების **წარჩინებულ სტუდენტთა სწავლის პროცესის ხელშეწყობის და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების** მიზნით სტუდენტებისთვის სახელმწიფო სტიპენდიების პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით გამოეყო საქართველოს ათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 793 სტუდენტს. ამ მიზნით მიიმართა 4.0 მლნ ლარი.

2015 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდის დაძლევის შედეგად სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 28061, რომელთაგან **სახელმწიფო გრანტით დაფინანსდა - 6742**. საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახა 8814-მა, ხოლო სახელმწიფო სასწავლო გრანტი მოიპოვა 896 სტუდენტმა.

ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების პროგრამის ფარგლებში, 2015 წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლებით ისარგებლა 3 250-ზე მეტმა საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქემ. პროგრამის მიზანია უცხო ქვეყნის მოქალაქე და უცხო ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქე აბიტურიენტთა ხელშეწყობა, სტუდენტთა მობილობის განხორციელება და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პოპულარიზაცია.

უცხო ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური ქართველების სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით 2015 წელს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე დაფინანსდა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული 40 უცხო ქვეყნის მოქალაქე, ხოლო მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული 9 სტუდენტი, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით ჩაირიცხნენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ზოგადევროპული ენობრივი სტანდარტების გათვალისწინებით მომზადდა **"ქართულის, როგორც უცხო ენის"** სწავლების პროგრამა „ირბახი" და ამოქმედდა სპეციალური ვებგვერდი www.geofl.ge, რომელზეც განთავსდა ქართულის, როგორც უცხო ენის, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა, დამხმარე მასალებითურთ. ვებგვერდი თანდათან ივსება ენის ფლობის დონეების საფუძველზე შექმნილი მასალით. დიდი ყურადღება ექცევა, რომ სახელმძღვანელოებში გათვალისწინებულ იქნეს უცხოელი შემსწავლელის მოთხოვნები და საჭიროებები. 2015 წელს ვებგვერდს 25.000-ზე მეტი მომხმარებელი ჰყავდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

სამეცნიერო კვლევებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით დამტკიცდა სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამა. პროგრამის ფარგლებში გაიზარდა სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დაფინანსება, რაც ემსახურება ახალი სამეცნიერო პერსონალის მოზიდვას; სამეცნიერო კვლევებისათვის პირობების გაუმჯობესებას; ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებასა და მათი წარმოებაში დანერგვის ხელშეწყობას. პროგრამის ბენეფიციართა რიცხვშია საქართველოს 4 უნივერსიტეტის 42 კვლევითი დაწესებულება. ოთხივე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროგრამით დაფინანსებულია 2321 საშტატო ერთეული, მ. შ. - 1382 სამეცნიერო საშტატო ერთეული. ამ მიზნით სულ მიიმართა 20.5 მლნ ლარი.

გატარებული ღონისძიებების შედეგად 2015 წელს სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში დასაქმებულ მეცნიერთა ხელფასები 2.5-ჯერ გაიზარდა.

სასწავლო და კვლევითი გარემოს გაუმჯობესების მიზნით დაიხვეწა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მოხდა დაზიანებული და სარემონტო შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია. 2015 წელს პროგრამამ მოიცვა: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2015 წლის ნოემბერში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით ჩატარდა **მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული,** რომლის მიზანს წარმოადგენდა მეცნიერების პოპულარიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა საქართველოს სახელმწიფო / კერძო უნივერსიტეტების ბაზაზე არსებულ სამეცნიერო და კვლევითი ცენტრების; აკადემიების, ეროვნული მუზეუმებისა და ბიბლიოთეკებისათვის. კვირეულის ფარგლებში ჩატარდა 120-მდე სამეცნიერო ღონისძიება (სემინარი, ლექცია, გამოფენა, კონფერენცია და სხვ.), რომელშიც მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ინსტიტუტებმა: მაიკროსოფტი-საქართველომ, სან დიეგოს უნივერსიტეტმა, შპრინგერის გამომცემლობამ, ცერნის ბირთვული კვლევების ევროპულმა ცენტრმა - მოძრავი გამოფენით „ცერნი დღეს“ და „LHC ინტერაქტიული გვირაბი“.

- **უმაღლესი განათლების ხარისხის ზრდა**

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტებში არსებულ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში სამეცნიერო პერსონალის სტატუსის განსაზღვრას და მათი თანამდებობებზე არჩევის წესს; სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის საქმიანობის შიდა შეფასების სისტემის სრულყოფას; სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მომზადება/განხორციელებაში სამეცნიერო პერსონალის სრულფასოვან მონაწილეობას და ერთობლივი აკადემიური ხარისხის მოპოვების სამართლებრივ წესებს.

2015 წელს სამინისტრომ დაიწყო მეორე ეტაპი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარებისა და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროექტის ფარგლებში ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განახლების მიზნით.

განათლების ხარისხის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გახდა **უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ევროპული ქსელის - ENQA-ს აფილირებული წევრი.**

2015 წელს განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორზე ISEC–2013–F დაყრდნობით შემუშავდა უმაღლესი განათლების მიმართულებების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს 11

ფართო, 29 ვიწრო და 80 დეტალურ მიმართულებას. აღნიშნულ მიმართულებებში (სფეროებში) განხორციელდა საქართველოს უმაღლესი განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასიფიცირება. განათლების მიმართულებების (სფეროების) ჩამონათვალის (კლასიფიკატორი) დამტკიცების მიზნით შემუშავდა საკანონდებლო ცვლილებების პროექტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით 2015 წელს საქართველოში განხორციელდა **ორმაგი აკადემიური ხარისხის** მიმნიჭებელი პროგრამები. ამ ეტაპზე ორმაგი აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი 12 პროგრამა დანერგილია 5 სასწავლებელში: აღნიშნული პროგრამები ხორციელდება 13 უცხოურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და მოიცავს სწავლების სამივე საფეხურზე შემდეგ დარგებს: ეკონომიკა, ბიზნესი, ჯანდაცვა, ჰუმანიტარული მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, პოლიტიკის მეცნიერებები.

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების **ინტერნაციონალიზაციის მიზნით** განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა საკანონმდებლო რეგულაციები ორმაგი (მრავლობითი) და ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ. ERASMUS + ეროვნული ოფისის მხარდაჭერით გამოიცა „კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სახელმძღვანელო“ და სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობისათვის ღია კონკურსის წესით სტიპენდიისათვის შეირჩა და კანდიდატები წარედგინათ: კატარის, ეგვიპტის, ქუვეითის, სლოვაკეთის, თურქეთის, სომხეთის მთავრობებს.

2014 წელს საქართველოს მთავრობამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და **სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს** შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო მილენიუმის გამოწვევის ფონდის მეორე კომპაქტის განხორციელება. სამი ქართული უნივერსიტეტის (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) კონსორციუმის ბაზაზე განხორციელდება მსხვილმასშტაბიანი ინვესტიცია და შეიქმნა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები ელექტრულ ინჟინერიაში, კომპიუტერულ მეცნიერებაში, ქიმიაში (ბიოქიმიის განხრით) და კომპიუტერულ ინჟინერიაში. მსგავსი პროგრამის დანერგვით მთელს რეგიონში იქმნება პრეცენდენტი მაღალხარისხიანი პროგრამების დანერგვისა და უცხოელი პარტნიორების მოზიდვის მიმართულებით. 2015 წელს აღნიშნულ პროგრამებზე განხორციელდა მიღება და ერთიანი ეროვნული გამოცდები ზოგად უნარებში, ქიმიასა და მათემატიკაში ჩატარდა ინგლისურ ენაზე.

სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობის მიზნით 2015 წელს მობილობის პროცესი განახორციელდა ორჯერ - გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრებში. მობილობის პორტალის მომსახურებით ისარგებლა 7 555 სტუდენტმა, აქედან მობილობის უფლება მოიპოვა 6 251 სტუდენტმა.

განვითარებასა და შედეგებზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვის მიზნით, მიმდინარეობს საგანმანათლებლო დაწესებულებების **ავტორიზაციისა** და საგანმანათლებლო პროგრამების **აკრედიტაციის სტანდარტების** დახვეწა-გაუმჯობესების პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია - აკადემიურ პერსონალის, კვალიფიკაციის მინიჭების წესის, სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის, სტუდენტის შეფასების სისტემის და

სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ. მოხდა აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი. დამტკიცდა ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი. დამტკიცდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსი.

2015 წელს თანმიმდევრული ნაბიჯები გადადგა **ავტორიზაციისა და აკრედიტაციის** ინტერნაციონალიზაციისა და აღნიშნულ პროცესებში უცხოელი ექსპერტების ჩართვის უზრუნველსაყოფად. მიმდინარეობს უცხოელ ექსპერტთა ბაზის ფორმირება.

TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში „ტრანსნაციონალური განათლების ხარისხისა და აღიარების ხელშეწყობა სომხეთსა და საქართველოში“ პარიზში გამართულ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ წარადგინა ტრანსნაციონალური განათლების პოლიტიკის დოკუმენტი და სახელმძღვანელო პრინციპები.

მომზადდა ასოცირების შეთანხმების XXXII დანართით გათვალისწინებული რეკომენდაციების განხორციელების გრძელვადიანი პოლიტიკის დოკუმენტი 2015-2017 წლებისათვის.

2015 წელს საქართველომ მოიპოვა უფლება, გახდეს ბოლონიის პროცესის „ძირითადი შეთანხმებული ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობის“ სამუშაო ჯგუფის თანათავჯდომარე ქვეყანა. საქართველო ასევე გახდა ბოლონიის მესამე სამუშაო ჯგუფის „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის სამომავლო მიზნების“ წევრი ქვეყანა.

➢ მეცნიერების განვითარება

2015 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესების, სამეცნიერო კვლევების ინტერნაციონალიზაციის, ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერისა და მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით.

უნივერსიტეტებში მეცნიერების განვითარებისა და უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით მომზადდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ **საქართველოს კანონებში ცვლილებების პაკეტი.** ცვლილებები ითვალისწინებს: უნივერსიტეტებში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას/დაზუსტებას; მართვის ორგანოებში სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების როლის განსაზღვრას; საგანმანათლებლო საქმიანობაში სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ჩართულობის უზრუნველყოფას; უნივერსიტეტებში არსებულ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში სამეცნიერო პერსონალის სტატუსის განსაზღვრას; სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის საქმიანობის შიდა შეფასების სისტემის სრულყოფას; სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სტატუსების და ცნებების დამკვიდრებას; კანონმდებლობით განისაზღვრა სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები და სამეცნიერო თანამდებობებზე არჩევის წესი; საუნივერსიტეტო საქმიანობაში სამეცნიერო პერსონალის სრულფასოვნად მონაწილეობის, მათ შორის სამაგისტრო და

სადოქტორო პროგრამების მომზადება/განხორციელებაში ჩართულობის სამართლებრივი საფუძვლები. გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებებით შემოტანილ იქნა ერთობლივი აკადემიური ხარისხის ცნება და მომზადდა საფუძვლები მასწავლებლის მომზადების სისტემის გაუმჯობესებისთვის.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტიზის შედეგების გათვალისწინებით, **გადაიხედა დაფინანსების მოცულობა და წესი. სამეცნიერო კვლევებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით** დამტკიცდა სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამა. პროგრამის ფარგლებში გაიზარდა სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დაფინანსება, რაც ემსახურება ახალი სამეცნიერო პერსონალის მოზიდვას; სამეცნიერო კვლევებისათვის პირობების გაუმჯობესებას; ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებასა და მათი წარმოებაში დანერგვის ხელშეწყობას. პროგრამის ბენეფიციართა რიცხვშია საქართველოს 4 უნივერსიტეტის 42 კვლევითი დაწესებულება. ოთხივე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროგრამით დაფინანსებულია 2321 საშტატო ერთეული, მ. შ. - 1382 სამეცნიერო საშტატო ერთეული. პროგრამის ფარგლებში 2015 წელს მხოლოდ კვლევითი ინსტიტუტების პროგრამულმა დაფინანსებამ შეადგინა 20.5 მლნ ლარი. გატარებულ ღონისძიებათა შედეგად სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში დასაქმებულ მეცნიერ-თანამშრომელთა ხელფასი საშუალოდ 2.5 ჯერ გაიზარდა.

უმაღლესი საგანმანათლებლო და **სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში,** 2013-2015 წლებში სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის გაფორმდა მრავალწლიანი ხელშეკრულებები **24.1 მლნ ლარის ოდენობით.** აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში გათვალისწინებულია ცხრა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების რეაბილიტაცია.

გაიზარდა სამეცნიერო საგრანტო პროექტების რიცხვი. ამ ეტაპზე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ადმინისტრირებას უწევს 25 საგრანტო და მიზნობრივ პროგრამას, აქედან 18 - ეროვნულ, 4 საერთაშორისო ბილატერალურ პროგრამასა და ევროკავშირის ჩარჩო პროგრამების ფარგლებში 3 მულტილატერალურ პროექტს.

შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფარგლებში მიმდინარე პროექტების დასაფინანსებლად განსაზღვრულმა 2015 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 27.4 მლნ. ლარი.

სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ფონდის პროგრამებისა და კონკურსების ფარგლებში ხორციელდება პროექტები შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებში:

- სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა
- ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების პოპულარიზაცია და ხელშეწყობა;
- მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია - საერთაშორისო, ერთობლივი თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- სამეცნიერო საინფორმაციო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- მეცნიერების კომუნიკაციისა და ფართო საზოგადოებაში პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

2015 წლიდან ფონდი საგრანტო პროექტებს აფინანსებს ევროსტატისა (EUROSTAT) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებში:

1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები
4. აგრარული მეცნიერებები;
5. სოციალური მეცნიერებები;
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები.

დამატებით, 2015 წლიდან ფონდმა პრიორიტეტული მიმართულების სახით განსაზღვრა **საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები,** რომლის ფარგლებში გამოიყო პროგრამული წლიური ბიუჯეტის 10%.

2015 წლიდან დაიწყო შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის სტრუქტურული და ფუნქციური რეორგანიზაციის პროცესი, რომლის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების ხელშეწყობა, ახალგაზრდა მეცნიერთა პოტენციალის განვითარება, საქართველოს სამეცნიერო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ახალი სამეცნიერო პორტალის შექმნა, საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების გაძლიერება და ზოგადად, საზოგადოებაში მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

შემუშავდა ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტთან „საქართველო 2020“-თან და საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებთან შესაბამისად.

გამოყენებითი კვლევებისა და ახალგაზრდა მეცნიერთა პროგრამებში თანამშრომლობისათვის, სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის, ბიზნესისა და მეცნიერების თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის **გაფორმდა მემორანდუმი** რუსთაველის სამეცნიერო ფონდს, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოსა/GITA, და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს - **„საქპატენტს“** შორის.

2015 წელს ფონდმა ადმინისტრირება გაუწია 20 საგრანტო და მიზნობრივ პროგრამას, აქედან 13 - ეროვნულ, 5 საერთაშორისო ბილატერალურ პროგრამასა და ევროკავშირის ჩარჩო პროგრამების ფარგლებში 2 მულტილატერალურ პროექტს.

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით ფუნდამენტური კვლევების მიმართულებით დაფინანსდა 106 პროექტი საერთო ღირებულებით 13 982 223 ლარი; გამოყენებითი კვლევების მიმართულებით 5 939 444 ლარის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების რაოდენობამ შეადგინა- 35. უცხოელ თანამემამულეთა მონაწილეობით მიმდინარე კვლევების ფარგლებში დაფინანსდა 12 პროექტი, ჯამური ღირებულებით - 1 695 472 ლარი .

ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით 2013 წლიდან პირველად ამოქმედდა და დღემდე მიმდინარეობს დოქტორანტების დაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებში 2015 წელს გამოვლინდა 87 გამარჯვებული პროექტი. დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 2 560 886 ლარი. გარდა ამისა, ფონდი ახორციელებს ახალგაზრდა მეცნიერთა, მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევით, მოკლევადიან ინდივიდუალურ სამოგზაურო, საკონფერენციო, ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების, სეზონური სკოლების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროგრამებს. საგრანტო პროგრამების ფარგლებში დაფინანსდა 200-ზე მეტი პროექტი, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 15,6 მლნ. ლარი.

საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებებისა და კვლევების ხელშეწყობის პროგრამების ფარგლებში საზღვარგარეთ ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის კვლევის მიმართულებით დაფინანსდა 4 პროექტი, პროექტებისთვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 987 771 ლარი; უცხოეთში საქართველოს შესწავლის ცენტრებისა და პროგრამების ხელშეწყობის მიზნით პროექტების (2)დასაფინანსებლად გამოიყო 215 522 ლარი;

2015 წელს მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა პროგრამის **„ლეონარდო და ვინჩი“** ფარგლებში დაწესდა „გრან პრი“, განისაზღვრა სამი საპრიზო ადგილი; საპრიზო ადგილის მფლობელ თითოეულ მოსწავლე- გამომგონებელს გადაეცა ფულადი ჯილდო 10 000 ლარის ოდენობით.

სახელმწიფო მაქსიმალურად უწყობს ხელს **საერთაშორისო ოლიმპიადებში** ქართველ მოსწავლეთა ჩართულობას; 2015 წელს ოლიმპიადაში მონაწილე ახალგაზრდებმა მოიპოვეს 1 ვერცხლის, 7 ბრინჯაოს ჯილდო, ასევე 4 საპატიო სიგელი. ამ მიზნით სულ მიიმართა 219.0 ათასი ლარი;

საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით გაგრძელდა ერთობლივი თანამშრომლობის პროგრამები ისეთ კვლევით და საგანმანათლებლო საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა: CERN, DUBNA, JUELICH CENTER, CNR, CNRS, STCU, ISTC, CRDF-Global და ევროკავშირის მულტილატერალური პროგრამები (FP7 IncoNet EaP; Black Sea Horizon.

2015 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაასრულა ევროკავშირის მხარესთან მოლაპარაკებები ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა "ჰორიზონტი 2020"-თან ასოცირების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტის პროექტთან დაკავშირებით. საქართველომ, ევროკავშირის მხრიდან მიიღო ოფიციალური დასტური ჰორიზონტი 2020-ის პროგრამაში ასოცირებულ წევრობაზე. 2016 წლის გაზაფხულზე იგეგმება ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გახდება „ჰორიზონტი 2020“-ის პროგრამების კოორდინატორი. პროგრამის მისიაა ხელი შეუწყოს ბრწყინვალე მეცნიერებასა და უპასუხოს საზოგადოებრივ და ინდუსტრიულ გამოწვევებს. პროგრამის ბიუჯეტი 2014-2020 წლებში შეადგენს 80 მილიარდ ევროს და გრანტების სახით მოხმარდება სამეცნიერო და კვლევით აღმოჩენებს, გამოგონებებსა და ინოვაციებს, აგრეთვე

საუკეთესო სამეცნიერო-ტექნოლოგიური იდეების განხორციელებას. „ჰორიზონტი 2020“-თან ასოცირება საშუალებას მისცემს მეცნიერებს საქართველოდან აქტიურად იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით სივრცეში და მონაწილეობა მიიღონ (მათ შორის, წამყვანი პარტნიორებისა და კოორდინატორების სტატუსით) ევროკავშირის კვლევითი პროექტების კონსორციუმებში. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის სექტემბრიდან ფონდი, აგრეთვე, გახდა ევროპის კვლევების საბჭოს (ERC) ეროვნული საკონტაქტო პირი საქართველოში. საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით განხორციელდა ბილატერალური პროგრამები და საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტები.

ახალ ეტაპზე გადავიდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების 18 ორგანიზაციასთან ერთად, ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მეშვიდე ჩარჩო **პროგრამით (FP7)** დაფინანსებული პროექტი „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი” - IncoNet EaP . IncoNet Eap ფარგლებში შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდმა ორგანიზება გაუწია სხვადასხვა ღონისძიებას, პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 2 999 955 ევროს, აქედან, ფონდისათვის განსაზღვრული თანხა 103 041 ევროა.

სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მოდიფიცირდა კონკურსები და შემუშავდა ახალი პროგრამები. სამეცნიერო საინფორმაციო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შეფასებისა და განვითარების მიმართულებით გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები: დაიწყო აქტიური მუშაობა საქართველოს ერთიანი სამეცნიერო პორტალზე; საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო-ტექნოლოგიური აპარატურისა და ინფრასტრუქტურის ინტერაქტიული რუქის შექმნას; მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე ხელმისაწვდომობა.

წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები ELSEVIER BV ონლაინ საგამომცემლო ბაზების პორტალში საქართველოდან ორი ჟურნალის (თსუ-ის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ელ. ჟურნალის „Transections of A. Razmadze Mathematical Institute” და აგრარული უნივერსიტეტის ელექტრონული ჟურნალის “Annals of Agrarian Science”) ჩართვის თაობაზე. განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები ჟურნალების ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ELSEVIER BV ბაზაზე საქართველოს ჟურნალების ჩართვის წარმოებისათვის.

2015 წლის დეკემბერში განახლდა ხელშეკრულება საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრთან (ISTC). აღსანიშნავია, რომ ISTC წარმოადგენს საქართველოს მეცნიერების მხარდაჭერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორგანიზაციას, რომლის მიერ საქართველოში ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ფარგლებში დაფინანსება შეადგენს 32 მლნ. აშშ დოლარამდე. ISTC-ის „საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის ფუნქციონირების გაგრძელების შესახებ“ შეთანხმება გულისხმობს თანამშრომლობის გაღრმავებას და ერთობლივი პროგრამების ინიცირებას 2016, 2017 წლების განმავლობაში.

- **ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა**

სახელმწიფომ პრიორიტეტულ მიმართულებად აქცია საქართველოს ყველა მოქალაქის სრულფასოვანი ინტეგრაცია ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მიზნით, სამინისტრომ გაატარა რიგი აქტივობები, 2015 წელს გადამუშავდა **სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა** - სწავლება განხორციელდა სამი: A1, A2 და B1 დონის ფარგლებში, შეცვლილი საათობრივი განაწილებით (120; 120; 120) სკოლის რვა რეგიონულ სასწავლო ცენტრში; მომზადდა და დაიბეჭდა თითოეული დონის შესაბამისი სასწავლო სახელმძღვანელოები.

სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის არეალის გაფართოების მიზნით, შესაბამისად სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში ჩართულ მსმენელთა რაოდენობის გაზრდისთვის, სკოლამ ჩაატარა საქართველოს რეგიონებში სახელმწიფო ენისა და სამოქალაქო განათლების კუთხით არსებული პრობლემების კვლევა. გამოიკვეთა სახელმწიფო ენის შესწავლის აუცილებლობა და დამატებითი სასწავლო ცენტრების გახსნის საჭიროება. შეიქმნა მობილური ჯგუფები, რომლებმაც რაიონული ცენტრიდან მოშორებული სოფლების მაცხოვრებელთათვის ადგილზე განახორციელეს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა. პროგრამის ფარგლებში ჩართული ჯგუფების რაოდენობამ 37 შეადგინა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან შეთანხმებით შეიქმნა არაქართულენოვანი **პედაგოგებისთვის** A1 დონის გაძლიერებული კურსი, დამატებითი მასალებით და რესურსებით. (120სთ);

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, შემუშავდა პედაგოგთა შეფასების სისტემა, რომლის ფარგლებშიც მოხდა სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის პედაგოგთა შეფასება. ასევე, წლის განმავლობაში რეგიონულ სასწავლო ცენტრებში სისტემატურად განხორციელდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგებისა და პედაგოგთა შეფასების სისტემით გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით განხილულ იქნა სასწავლო პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები.

საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში შემუშავდა და განხორციელდა ახალი დარგობრივი კურსები - საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია და მომზადდა სასწავლო რესურსი.

საჯარო მოხელეების გადამზადების და მათი უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით 2015 წელს დაიწყო კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელი საბაზისო პროგრამის განხორციელება ახალქალაქის, მარნეულის, გარდაბნისა და დმანისის რეგიონულ ცენტრებში.